

„თბილისი იყო აწთიანობა“ [სახეობის 50-80-იანი წლების თბილისის სოციო-აწთიანობის ჰოწთაწთიანობის]

მარიამ მათიანაშვილი

წინათქმა

დედაქალაქელთა დისკურსში ხშირად გვხვდება ნოსტალგია 50-80-იანი წლების თბილისზე. აღნიშნული სტატია წარმოადგენს გავრცელებული კლიშეს – „თბილისი იყო ურთიერთობა“ – აკადემიურ ახსნას, მისი გაჩენის წინაპირობების, რეალობასთან კავშირისა და მწარმოებელი პრინციპების ჩვენებას. მიზნის მისაღწევად, აღვწერეთ ის სოციო-კულტურული გარემო, რომელშიც მოხდა ამ ფორმულის გაჩენა და რომლის ავტორებიც აცხადებდნენ პრეტენზიას, ყოფილიყვნენ „ნამდვილი თბილისელები“. კვლევა მნიშვნელოვანწილად დაეფუძნა შედარებით მეთოდს: 50-80-იანი წლების თბილისი, ერთი მხრივ, შევადარეთ დასავლურ ურბანულ მოდელებს, მეორე მხრივ კი, რადგანაც ეს მოდელები თავისთავად გულისხმობენ ქალაქის განსაზღვრას სოფელთან მიმართებაში, რურარულ ყოფას.

კვლევის საფუძველზე ვამტკიცებთ, რომ საბჭოთა თბილისი არ წარმოადგენდა ქალაქს დასავლური გაგებით და თავისი სოციო-კულტურული სტრუქტურით მეტად ჰგავდა სოფელს; რომ კლიშეში – „თბილისი იყო ურთიერთობა“ – აირეკლებოდა ქალაქის ცენტრში მცხოვრები პრივილეგირებული ფენის ცხოვრების წესი. ის გულისხმობდა ჩაკეტილობისაკენ მიდრეკილ წრეში ჩამოყალიბებულ, ლოიალობასა და პატივისცემაზე დამყარებულ კავშირს, რაც ნაკლებად ვრცელდებოდა ამ წრის გარეთ დარჩენილ ინდივიდებზე და, ამდენად, უნივერსალურ ურბანულ საზოგადოებაზე მეტად, სოფლის ერთობას განასახიერებდა.

მადლობას ვუხდით რჩევებისა და დახმარებისათვის კვლევით ჯგუფ „ისტორიის რეკონსტრუქციების“ ხელმძღვანელს, პროფესორ დავით დარჩიანაშვილს და ჯგუფის წევრებს – თამარ თოლორადავას და რევაზ ქოიავას.

შესავალი: საზოგადოება თუ ერთობა

ურბანისტები ქალაქს ძირითადად სოფელთან განსხვავების მიხედვით განსაზღვრავენ. როგორც ქალაქურობის ურბანისტული განსაზღვრებები, ისე კონკრეტული ქალაქმგვამარებლების და მოქალაქეების მიერ აღქმული საბჭოთა თბილისის სოციალური სივრცე საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სოფელთან დაპირისპირების კონტექსტში საბჭოთა თბილისი ქალაქია. მაგრამ როდესაც მას დასავლურ ქალაქის სოციალურ ურთიერთობებს, ღირებულებებსა და ცხოვრების

ნეს ვადარებთ, თბილისში მკაფიოდ ჩანს რურარული ყოფისთვის დამახასიათებელი ნიშნებიც.

ქალაქზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია, მხედველობაში ვიქონიოთ შუა საუკუნეების ევროპაში გავრცელებული პრინციპი „ქალაქი ათავისუფლებს“. ამ პრინციპის წარმოშობას ჰქონდა ფეოდალიზმის ეპოქის კონკრეტული სოციო-პოლიტიკური, ისტორიული პირობები, მაგრამ მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში გაჩენილი ახალი სოციალური დისციპლინა, რომელიც ქალაქის სოციოლოგიას იკვლევდა, ქალაქს, უპირველეს ყოვლისა, კვლავ თავისუფალი ინდივიდების კონცენტრაციის შესაძლებლობად განიხილავდა.

სოციოლოგი გეორგ ზიმელი მიიჩნევდა, რომ შუა საუკუნეებში და შემდგომაც, პატარა ქალაქი ან სოფელი ადამიანს, მის გადაადგილებას და გარესამყაროსთან ურთიერთობას, მის დამოუკიდებლობას და სხვებისაგან დიფერენციაციას უწყობდა საზღვრებს. ზიმელის აზრით, ამ პირობებში თანამედროვე ადამიანი დაიღუპებოდა და დიდი ქალაქის მცხოვრები, რომელიც გადადის პატარაში, ახლაც გრძნობს შევიწროებას: რაც უფრო პატარაა წრე, რომელიც ინდივიდის გარემოს ქმნის, მით უფრო ვიწროა სხვებთან ურთიერთობის საზღვრები, მით უფრო უკვირდება ის თავის ქცევას, ცხოვრებას და ფიქრებს (Simmel 1969).

ქალაქური თავისუფლების პრინციპი აქტუალურია თბილისისა და ქართული სოფლების, ან პატარა ქალაქების შედარების დროსაც. თბილისის მოქალაქეთა დაკვირვებით, ქალაქისაკენ მიგრაციის ინტენსივობა, რომელსაც მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან ჰქონდა ადგილი, სხვა მრავალ მიზეზებთან ერთად, ინდივიდუალური თავისუფლების უფრო მაღალი დონის ძიებითაც იყო განპირობებული. ვარდა იმისა, რომ თბილისი აღიქმებოდა შემოსავლის მიღების ადგილად, იგი პროვინციის მაცხოვრებლებისთვის ქმნიდა წარმოდგენასაც სოციალური მობილობის პერსპექტივაზე, მეტ თავისუფლებაზე. „პროვინციის მაცხოვრებლებს უწევთ ტრადიციისა და პირობითობისთვის მეტი ანგარიშის განევა; ანგარიშვალდებულება ყველას წინაშე ყველა ნაბიჯისთვის; ძალიან მკაცრად მოცემულ მორალში ცხოვრება. ეს არ არის ტრადიციული ქრისტიანული მორალი, არამედ „იქ“ არსებული მორალი. მე ანგარიშვალდებულო ვარ იმაზე, თუ როგორ ჩავიცმევ, როგორ მოვიქცევი, ვის დაველაპარაკები, დღის რომელ მონაკვეთში გავალ გარეთ, ღამე გავათევ თუ არა სახლში. ჩემმა თემმა უნდა იცოდეს, მე როგორ ვცხოვრობ და ამაზე პასუხი ვაგო. ეს პროვინციებში ჯერ კიდევ შემორჩენილია“ (მაისაშვილი, 2015).

მაგრამ, სოციალური კონტროლის თვალსაზრისით, საბჭოთა თბილისი სოფელთან მსგავსებასაც ავლენდა. აქ საუბარია არა პოლიტიკური, არამედ სოციალური კონტროლის ხარისხზე. სოციოლოგი ემზარ ჯგერენაია მიიჩნევს, რომ 60-70-იანი წლების თბილისი დღეს ბევრათვის ითვლება იდეალად. „დღეს ბევრი თბილისელი ამბობს, რომ მაშინ კარგი იყო, ყველანი ერთმანეთს ვიცნობდით. . . პრაქტიკულად ეს ადამიანები გვიყვებიან სოფელზე, სადაც ადამიანები ერთმანეთს იცნობენ და თბილისელებს ეს ენატრებათ. საბჭოთა თბილისი გახდა ქალაქი მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა და აქ უამრავი უცხო ადამიანი შემოვიდა. თბილისში დღეს შესაძლებელია ანონიმურობა. თქვენ ისე შეგიძლიათ გაიაროთ ერთი დიდი ქუჩა, რომ ნაცნობი არ შეგხვდეთ. ანუ ჩვენ ახლა ვხდებით ქალაქი“ (ჯგერენაია, 2015).

ურბან-სოციოლოგი რობერტ პარკი თვლიდა, რომ ქალაქში, სადაც წეს-ჩვეულება შევიწროებულია საზოგადოებრივი აზრით და პოზიტიური კანონით, ადამიანი იძულებულია, იცხოვროს უფრო გონებით, ვიდრე ინსტინქტებითა და ტრადიციებზე დაყრდნობით. შედეგად ჩნდება ადამიანი – ინდივიდი, რომელიც აზროვნებს და მოქმედებს. გლეხი, რომელიც ჩადის ქალაქში საცხოვრებ-

ლად და სამუშაოდ, აუცილებლად თავისუფლდება მისი წინაპრების წეს-ჩვეულებებისგან, მაგრამ, ამასთან, მას მხარს უკვე აღარ უჭერს გლეხური ერთობის კოლექტიური სიბრძნე. ის ახლა თავისი თავის ამარა დარჩა. გლეხის შემთხვევა ტიპურია. ყველა ქალაქელი, ამა თუ იმ ხარისხით, თავის თავის ამარადაა დარჩენილი (Park 1969).

ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების დადგენისას მნიშვნელოვანია საზოგადოების და ერთობის განსხვავებები ფერდინანდ ტიონისის თეორიაში. მათზე მსჯელობისას ტიონისი აცხადებს, რომ ერთობა დამახასიათებელია სოფლის გარემოსთვის, ხოლო საზოგადოება ქალაქში იბადება. „ყველგან, სადაც ყვავის და ნაყოფიერია ქალაქური კულტურა, ჩნდება საზოგადოება, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. სოფელში ეს მოვლენა ნაკლებადაა ცნობილი“ (Tonnie 2001, 19). ეს განსხვავებები საზოგადოებასა და ერთობას შორის იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც გვეხმარება საკუთრივ თბილისის, როგორც ქალაქის, განსაზღვრებაში. ტიონისის დეფინიციათა ექსტრაპოლირებით შეიძლება დავასკვნათ, რომ თბილისმა თანამედროვე გავებით ქალაქად და, შესაბამისად, სრულყოფილ საზოგადოებად ჩამოყალიბება დაიწყო საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.¹

ფერდინანდ ტიონისის განმარტებით საზოგადოება (Gesellschaft) – არის კონკურენტებისაგან შემდგარი სოციალური წარმონაქმნი და ამდენად ურთიერთობას ამყარებს კონვენციაზე, კონტრაქტზე. იმ დროს, როცა ერთობა (gemeinschaft), რადგანაც ის ოჯახური, ნათესაური სამეზობლო კავშირებით იქმნება, დამყარებულია ერთგულების, ნდობის და პატივისცემის პრინციპებზე. სწორედ ამ მიზეზით, სოფელში მაღალია სოციალური კონტროლის ხარისხიც.

საზოგადოებაში ფერდინანდ ტიონისი გულისხმობს ადამიანების წრეს, რომელიც, როგორც ერთობის შემთხვევაში, მშვიდობიანად თანაცხოვრობს და მეზობლობს, მაგრამ იმყოფება არა არსებით კავშირში, არამედ არსებით დისტანციაში ერთმანეთისგან. ამიტომ საზოგადოებაში არ არსებობს აუცილებელი, ერთობიდან მომდინარე საქმიანობა. „აქ ყველა ცდილობს მხოლოდ თავის თავისთვის, მომატებული დაძაბულობის მდგომარეობაში და სხვების წინააღმდეგ. საქმიანობის სფეროები და ძალაუფლება მკაცრად არის ერთმანეთისგან განცალკევებული, ყოველი ადამიანი უკრძალავს სხვას, მიუხელოვდეს მას, რადგან ეს აღიქმება მტრობის გამოხატულებად. ასეთი ნეგატიური პოზიცია წარმოადგენს ნორმას და საფუძვლს ამ სუბიექტების ურთიერთობისა, რაც ახასიათებს საზოგადოებას. არავინ მოიმოქმედებს რაიმეს სხვისი გულისთვის. არავის მოუვა თავში აზრად, ვინმეს რაიმე აჩუქოს ან რაიმეს უფლება მისცეს, თუკი მისგან საპასუხოდ იმავეს არ ელოდება... ყოველი სიკეთე ერთმანეთისგან განცალკევებულია. არ არსებობს საერთო მონაპოვარი. მან შეიძლება იარსებოს, როგორც სუბიექტურმა ფიქციამ“ (Tonnie 2001, 52).

რაციონალური ურთიერთობის უპირატესობას ქალაქის გარემოში აღიარებს გეორგ ზიმელიც და ამ ურთიერთობების ჩამოყალიბების მიზეზად გაცვლითი პროცესის მრავალფეროვნებას და მის კონცენტრაციას ასახელებს. მისი აზრით, დიდ ქალაქში არსებული ცხოვრების პირობების მრავალფეროვნება და სირთულე შეუძლებელი იქნებოდა შეთანხმების დადებისა და მისი შესრულების სიზუსტის გარეშე. ზიმელიც თვლის, რომ რაციონალური ურთიერთობებისას ინტერესის სფეროს არ წარმოადგენს ინდივიდუალურის ცოდნა, რადგანაც ამან შესაძლოა, გამოიწვიოს კავ-

1 აქ ვსაუბრობთ მხოლოდ საბჭოთა თბილისზე და მას ვადარებთ არა საბჭოთამდელ, არამედ თანამედროვე თბილისს.

შირი, რომელიც არ აიხსნება მხოლოდ ლოგიკით. მაგრამ ამავე დროს სწორედ ურთიერთობის რაციონალური ხასიათის გამო, ხდება ინდივიდუალიზმის განვითარება (Simmel 1969).

ურბანისტი ლადო ვარდოსანიძე მიიჩნევს, რომ საბჭოთა თბილისის მოსახლეობამ მარგინალური საზოგადოება შექმნა, რადგან მიგრანტმა, რომელიც თბილისში ჩამოვიდა, „მიატოვა, დაივიწყა თავისი დადებითი თვისებები, თუნდაც, ურთიერთობა გარემოსთან, მაგრამ ჯერაც ვერ შეითვისა ურბანული ცხოვრების წესი.“ ვარდოსანიძე მარგინალურს უწოდებს საზოგადოებას, რომელსაც ახასიათებს დასავლურ ურბანისტიკაში გავრცელებული ტერმინი „ნიმბიზმი“ (Not in my backyard), ანუ პრინციპი – „მე ნუ შემეხება და კისერი უტეხია ყველას“ (ვარდოსანიძე, 2015).

საბჭოთა თბილისის მოსახლეობის, როგორც მარგინალური საზოგადოების განსაზღვრებას ერთგვარად ასახავს ხათუნა მაისაშვილის მიერ გაკეთებული დაკვირვება, რომელიც ქუჩისთვის, როგორც საზოგადოებრივი სივრცისთვის დამატებითი ფუნქციების მინიჭებას გულისხმობს. რესპოდენტი ფიქრობს, რომ თბილისში ქუჩა წარმოადგენდა გამორჩენის, სოციალიზაციის, პირველადი განათლების მიღების, ოჯახის ღირებულებებთან კონფლიქტში მყოფი ღირებულებების პირველად შემოსვლის, საკუთარი თავის დამკვიდრების ადგილს. იქმნებოდა მოტივაცია და ამბიცია, რომ ქუჩას ელიარებინე. ამ მხრივ თბილისური ქუჩა გავდა დასავლურ ქალაქებში მიგრანტების/უმცირესობების უბნებს, დატვირთვითაც და ურთიერთობებითაც. „თბილისში ცხოვრობდნენ ისე, როგორც მიგრანტები დასავლურ ქალაქში და, ნაწილობრივ, ეს ახლაც ასეა“ (ხათუნა მაისაშვილი, 2015).

ამ მოვლენის ახსნა შესაძლებელია მდგომარეობდეს იმ მოცემულობაში, რომლის მიხედვითაც 60-იანი წლებიდან დაიწყო საქართველოს სოფლის მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია თბილისისკენ. ხათუნა მაისაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თბილისში ჩამოსული სოფლის მაცხოვრებელი მაშინვე არ ხდება ქალაქის სრულყოფილი წევრი. იგი სრულყოფილად ვერ მონაწილეობს ქალაქის ცხოვრებაში და მაშინვე ვერ იაზრებს ქალაქური ცხოვრების წესს. გაქალაქელებს შესაძლებელია სჭირდებოდეს რამდენიმე თაობა (ხათუნა მაისაშვილი, 2015). ვფიქრობ, ეს დაკვირვება რეზონირებს ლადო ვარდოსანიძის ზემოთ ნახსენებ განმარტებასთან „მარგინალური საზოგადოების“ შესახებ.

თბილისის ქუჩის ცხოვრებას ქალაქმცემარებელი ზურაბ ბაქრაძე აღწერს, როგორც ნახევრად საზოგადოებრივის გამოსვლას საზოგადოებრივში. „ნახევრად საზოგადოებრივი“ მისთვის ებოს სივრცეა, რომელიც გამოსულია „საზოგადოებრივი“ – ქუჩაში (ბაქრაძე, 2015). ასეთი მდგომარეობა შესაძლებელია, კვლავაც იყოს დაკავშირებული მარგინალური საზოგადოების ცხოვრების წესთან, როდესაც ბოლომდე არაა გაცნობიერებული საზოგადოებრივის მნიშვნელობა.

რესპოდენტები ასევე თანხმდებიან, რომ თბილისის მოსახლეობას უჭირს კერძოსა და საზოგადოს ერთმანეთისგან გარჩევა. ლადო ვარდოსანიძე ფიქრობს, რომ სწორედ ეს არის ურბანულსა და რურარულს შორის ძირითადი განსხვავება და თბილისის მაცხოვრებელთა ძირითადი პრობლემა. ზურაბ ბაქრაძე მიიჩნევს, რომ აღნიშნული მდგომარეობის მიზეზი, შეიძლება, საბჭოთა კავშირის ნეგატიურ გავლენაში ვეძებოთ, როდესაც იძულებით თავსმოხვეულმა „საერთოს“ ცნებამ და კერძო საკუთრების უკულებელყოფამ მოქალაქეების ცნობიერებაში ნაშალა კერძოსა და საერთოს დეფინიციები. ხათუნა მაისაშვილის აზრით, „საერთოს“ ცნების კულტივირებამ მოსახლეობაში პროტესტის გრძნობა გააჩინა. საზოგადოს განსაზღვრებას ზურაბ ბაქრაძე უწოდებს ქართულ მეტყველებაში დამკვიდრებულ ცნებას „არავისია“: იგი ნიშნავს სივრცეს, რომელსაც მართავს სახელმწიფო. შესაბამისად ის არ ეკუთვნის მოქალაქეს (ბაქრაძე, 2015).

„თბილისი იყო ურთიერთობა“

ქალაქურ გარემოში პიროვნების თავისუფლების, რაციონალობის, ანონიმურობის, კონვენციურობასა და კონკურენციაზე დამყარებული ურთიერთობის პრინციპს ეწინააღმდეგება 80-იანი წლების დასაწყისში შექმნილ ქართულ სიმღერაში გამოხატული ემოცია – „თბილისი იყო ურთიერთობა ღირსეულ ყრმათა.“ ეს ემოცია, რომელიც თბილისური საზოგადოების ნაწილისათვის პრინციპის სახეს იღებს, ერთგვარად რომანტიკული ხედვაა, რომელიც უპირისპირდება ზიმელის, ტიონისის თუ სხვა ურბანისტ-სოციოლოგთა შეხედულებებს ქალაქის არსზე. იგი ეჭვქვეშ აყენებს ქალაქისთვის მნიშვნელოვან ანონიმურობის პრიმატს. ემზარ ჯგერენაიასთვის, ქალაქის ყოფის ამგვარი მითოლოგიზირება განპირობებულია სოფლური ცხოვრების წესისადმი ნოსტალგიით (ჯგერენაია, 2015).

თუკი გავითვალისწინებთ გრეგორ ზიმელის ჰიპოთეზას, რომ ქალაქში რაციონალური ურთიერთობების, პირადი თავისუფლების არსებობას განსაზღვრავს მისი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, შეიძლება მნიშვნელოვნად მოგვეჩვენოს ჟურნალისტ ალექსანდრე ელისაშვილის მსჯელობა, რომ ადრე თბილისი პატარა იყო და მოქალაქეებს შორის მჭიდრო კავშირსაც ეს განაპირობებდა (ელისაშვილი, 2015). მაგრამ ურთიერთობათა მითი ისეთ პერიოდს აღწერს, როდესაც თბილისი სწრაფად იზრდებოდა და მილიონიან ქალაქთა რიგებში ღებოდა. ქალაქმგეგმარებელი ზურაბ ბაქრაძე მიიჩნევს, რომ ეს უკვე ძალიან დიდი რაოდენობაა იმისთვის, რომ ქალაქმა შეიძინოს ურთიერთობის ანონიმურობის რაციონალიზმის, ჰეტეროგენულობის მახასიათებლები (ბაქრაძე, 2015).

ურბანსოციოლოგი ლუის უირტისთვის ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომლითაც ის დიდი ქალაქის ნიშნებს აყალიბებს. უირტი მიიჩნევს, რომ, რაც უფრო დიდია დასახლება და მასზე სიმჭიდროვე, და რაც უფრო არაერთგვაროვანია საზოგადოება, მით მეტად ხდება მასში ურბანიზმის მახასიათებლების კონცენტრირება. ქალაქის მოსახლეობის დიდი რაოდენობა გულისხმობს ინდივიდუალური გამოვლინებების სიდიდეს და რაც უფრო დიდი რაოდენობა ინდივიდებისა ურთიერთქმედებს, მით მეტია მათ შორის დიფერენციაცია. ინდივიდუალური მახასიათებლები, საქმიანობა, კულტურული ცხოვრება, ქალაქური ჯგუფების წევრთა იდეები უფრო პოლარიზებულია ქალაქის მოსახლეობას, ვიდრე სოფლის მოსახლეობას შორის (Wirth 1938, 191).

თუმცა მოსახლეობის რაოდენობა შეიძლება ერთ-ერთი და არა მთავარი ცვლადი იყოს თბილისის განსხვავებულობის, მისი დაუსრულებელი ურბანიზაციის ახსნისას, რადგან დასავლეთში უფრო მცირე ზომის ქალაქებიც იძლეოდნენ „საზოგადოების“ მაგალითებს, „ერთობების“ წილ, რაც თბილისში აგრერიგად გაჭირდა.

თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 70-იანი წლების დასაწყისიდან თბილისი გახდა მილიონიანი, რაოდენობრივი კრიტერიუმი ვერ იქნება თბილისისთვის დამახასიათებელი რურარული ნიშან-თვისებების განმსაზღვრელი. უფრო მეტად საფიქრებელია, რომ ქალაქის მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ განაპირობა ქალაქის გარემოში სხვადასხვა სოციალური ჯგუფების შექმნა, რომლებმაც მოახდინეს სივრცული სეგრეგაცია, უბნების ორგანიზება და შექმნეს ამ უბნების სოციო-კულტურული მახასიათებლები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სავარაუდოა, გვიანსაბჭოთა თბილისიც პატარა ქალაქების კონგლომერატად ყალიბდებოდა და არა ერთიან ურბანულ სივრცედ.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ამ უბნების ფორმირება არ მომხდარა საბაზრო

პრინციპებით. ამ შემთხვევაში ქალაქის გენერალურმა გეგმამ განსაზღვრა ამა თუ იმ სოცი-
ალური ჯგუფის გადანაწილება გარკვეულ ადგილებში. მაგალითისათვის, 50-იან წლებში
განაშენიანებული ვაკე, ინტელიგენციისა და პოლიტიკური ელიტის მაღალი კონცენტრა-
ციის გამო, მალევე იქცა თბილისის ელიტურ უბნად. თავისი განაშენიანების პრინციპე-
ბის, ქუჩების და ბინების მაღალი ხარისხით, სოციო-კულტურული მანასიათებლებით, ვაკე
უპირისპირდებოდა 60-იან წლებში შექმნილ ნაკლებკომფორტულ **მიკროაიონებს**.

თბილისის, როგორც ერთგვარი ჰიბრიდული ქალაქის, მცირე დასახლებათა თანა-
ვარსკვლავედის გაგებისთვის, განსაკუთრებულ ყურადღებას მისი ცენტრი უნდა იმსახუ-
რებდეს. მითი თბილისური ურთიერთობის განსაკუთრებულობის შესახებ შექმნა სწორედ
თბილისის ცენტრალურ უბნებში მცხოვრებმა ელიტამ, რომელმაც საკუთარი განსაკუთ-
რებულობის უკვდავყოფა სცადა პროექტით „პაემანი ვერაზე“. გიზო ნიშნიანიძის ლექსად
გადმოცემული მოგონებების ეს კალეიდოსკოპი, რომელიც სპექტაკლად დაიდგა და გრამ-
ფირფიტებითაც გავრცელდა, უპირველეს ყოვლისა, ვერელების ცხოვრების წესსა და ურ-
თიერთობებს **აკონსტურირებდა** და აიდეალებდა. ხათუნა მაისაშვილი ამ შემთხვევისათ-
ვის როლან ბარტის განმარტებას იშველიებს და ამბობს რომ „პაემანი ვერაზე“ მითია და
არა ტყუილი – ეს არის გარკვეული ფენის თუ კლასის თვალთ დანახული თბილისი.

ამავე დროს მნიშვნელოვანია ისიც, რომ თბილისელთა კონკრეტული ნაწილი საკუთარ
თავს აიგივებს ქალაქთან, რითაც, ნებისთ თუ უნებლიედ, მიჯნავს ამ ქალაქიდან ნაკლებპ-
რესტიჟული უბნების მაცხოვრებლებს: პროექტში „პაემანი ვერაზე“, რომელიც „თბილისი
იყო ურთიერთობის“ ემანაციად შეიძლება ჩაითვალოს, „ღირსეულ ყრმათა“ თვისებები
და ცხოვრების წესი შერჩევით უკავშირდებოდა გარკვეული უბნების მაცხოვრებლებს. ამ
პროექტში სახელოვნებო ინტელიგენცია საუბრობს ვერის, ვაკის, სოლოლაკის თუ პლე-
ხანოვის მკვიდრთა რომანტიკასა და რაინდობაზე, მაგრამ დუმს ისანსა თუ ვარკეთილზე.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ პროექტის ავტორ/გულშემმატკივრები ქალაქის ძველ
ბირთვზე აკეთებდნენ აქცენტს, მაგრამ იგივე ვაკე – ვერის, სოლოლაკის, თუ თბილისის
სხვა ძველი უბნებისგან განსხვავებით – 50-60-იანი წლების პირმოა. გამოდის, საქმე სტა-
ტუსშია, გეოგრაფიულ პრესტიჟულობაში, რომლის ფარგლებს კომუნისტური პერიოდის
ზედაფენა განსაზღვრავდა. ვფიქრობ, ხელოვნებაში არეკლილი თბილისის სეგრეგირებუ-
ლი რეალობა ეწინააღმდეგება დასავლური ქალაქის მოდელს. ზურაბ ბაქარაძე და ლადო
ვარდოსანიძე მიიჩნევენ, რომ დასავლური ქალაქი თანასწორთა ურთიერთქმედების სივრ-
ცეა და მისი დაყოფა არ უნდა განაპირობებდეს რომელიმე უბნის მაცხოვრებლის განსა-
კუთრებულ უფლებას ქალაქელობაზე (ბაქარაძე, ვარდოსანიძე, 2015).

დასავლური ქალაქის რაციონალობა თუ მის მოსახლეთა გაუცხოვებანი ასევე არაა აც-
რილი პირადი ლოიალობებისაგან. ოღონდ იქ მათ სხვა ხასიათი თუ მასშტაბი აქვს. ენტონი
გიდენსი მიიჩნევს, რომ დიდი ქალაქი, როგორც „უცხოების სამყარო“, მაინც ამკვიდრებს და
ხელს უწყობს პირად კავშირებს. „ქალაქურ რეალობაში ჩვენ უნდა განვასხვავოთ გაუცხო-
ებული შეხვედრების საზოგადოებრივი სფერო და ოჯახის, მეგობრების, კოლეგების პირა-
დი სამყარო“, ასკენის გიდენსი (Гидденс 1999, 399). ამ წრეთა მიღმა ქალაქი თითქოს ცივია.
რთულია, „შეხვედ ადამიანებს“, როდესაც პირველად ხვდები ქალაქში. მაგრამ ქალაქი იხს-
ნება ინდივიდუალური რაციონალობით და „საკუთარი წრის“ შექმნის უკიდევანო შესაძ-
ლებლობებით. სოფელში კი, სადაც, გიდენსის თქმით, ნებისმიერი იხიბლება მკვიდრთა
კონტაქტურობით, ეს უკანასკნელი თავაზიანობით აიხსნება და შეიძლება გავიდეს წლე-

ბი, სანამ ჩამოსულს „მიიღებენ“ (Гидденс 1999, 399). სწორედ ეს „მიუღებლობა“ ახასიათებს თბილისის ცენტრს.

60-იანი წლებიდან დაწყებული მოსახლეობის მიგრაციამ თბილისში გამოიწვია უფრო ადრე დამკვიდრებულ მოქალაქეთა წუხილი იმის თაობაზე, რომ „თბილისი წალეკეს სოფლებმა“. დღემდე სოფლებობა თბილისის მოსახლეობის ხსენებულ ნაწილში პროტესტს იწვევს და მიუღებელია. გიდენსის მიერ აღწერილი რეალობა, რომ ახალმოსახლისადმი სოფელი დიდი ხნის განმავლობაში იჩენს უნდობლობას, ეხმიანება ტიონისის ერთობისა და საზოგადოების განსხვავებულობის პრობლემას. ამ თეორიებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოფლის თემი, რომლის მოსახლეობა ერთმანეთთან მხოლოდ მჭიდრო ნათესაურ-მეზობლური ურთიერთობით ხასიათდება, ვერ მიიღებს თავის პირად სივრცეში უცხოს. ამის საპირისპიროდ, ქალაქური საზოგადოება ერთგვარ „უცხოთა კავშირს“ წარმოადგენს. თბილისის ცენტრს კი, ვფიქრობ, სწორედ ქალაქურობის ეს თვისება აკლია და თავის სტრუქტურაში იგი ტიონისის ერთობისა თუ გიდენსის სოფლისაკენ იხრება.

მაინც რითი და რატომ ამაყოფს, რატომ და როგორ ავრცელებს თავის „როლ მოდელს“ პრესტიჟული უბნების მკვიდრი თბილისელი? რაში იკვეთება მის მიერ გარეგნულად უარყოფილი სოფლური თემის ნიშნები? ლადო ვარდოსანიძე ფიქრობს, რომ ურთიერთობის „თბილისური“ ფორმა დასავლური ურბანული ქცევის მოდელს არ წარმოადგენს, მაგრამ ქართველი კაცისთვისაა დამახასიათებელი და სწორედ ეს მოსწონთ თბილისის სტუმრებს. ვარდოსანიძისთვის, თბილისელობა სწორედაც რომ სოფლური ერთობიდან მომდინარე ფენომენია, **რადგან ქვეყანა** მცირეა ოჯახთა რაოდენობა, რომლებიც რამდენიმე თაობითაა თბილისელი. ამ ფენომენს უკავშირებს და ასეთად მიაჩნია საზოგადოებრივი სივრცის არალიარება (ვარდოსანიძე, 2015). ეს ფაქტორი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს იმ პრინციპის გასაგებადაც, რომლის მიხედვითაც ქალაქში არსებული ურთიერთობები უნდა დაფუძნებოდა არა კონტრაქტს, არამედ ტრადიციას, ნდობას, პატივისცემას.

ბოლო დრომდე მაინც, თბილისელობის მითში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ეთიკას, რომლის ახსნისას ისევ მაგიური სიტყვაა „ურთიერთობა“ ტივტივდება და ზოგჯერ იგი ცნება „საქმის“ საპირწონეა: „ყოველთვის ჩემს უცხოელ სტუმრებს ვეუბნები, რომ თბილისი არის ურთიერთობა და არა საქმე-მეთქი. საქმე და ურთიერთობა რომ დავდოთ ერთ სასწორზე, რომელი გადასწონის მოიფიქრეთ თქვენ;“ – მსჯელობს ვარდოსანიძე ამ მოუხელთებელ ფენომენზე (ვარდოსანიძე, 2015).

აკა მორჩილაძე თავის წიგნში „ჩრდილი გზაზე“ აყალიბებს ამ ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებული გვიანსაბჭოელი ქალაქელის ტიპს. „ძველთაგანვე, იმ ძველ პოემათა მიდევნებით ვიცით, რომ არსებობენ რაინდები. კიდევ მეტი, არსებობს ქცევა რაინდისა და იმისი ათასი სხვა რამე. ეგებ ეს სახელი ნამეტანიც კი იყოს, მაგრამ ჩვენში კი ასე გამოვიდა, რომ მთელმა ამ მოზრდილმა და ჭრელმა ისტორიამ შექმნა ურბანული რაინდის ტიპი, რომელიც სახელიანი იყო, თუ უსახელო, ბოჰემური, თუ არაბოჰემური, პარტიული თუ უპარტიო, თანამდებობიანი, თუ უთანამდებობო, თბილისელი, თუ არათბილისელი, მისდევდა ურბანული რაინდის ცხოვრების მდინარეს, რომლის კალაპოტიც წარმოიქმნა სწორედ იმ კარგა ხანს მიმდინარე ამბავთა წყალობით, რომლებიც ამდენ ხანს გაგრძელდა. ურბანულ რაინდს ჰქონდა უნცია პარტიიდან, უნცია ინტელიგენტთაგან, უნცია ქურდთაგან, უნცია ქალაქელთაგან, თვით ძელეცების წრიდანაც და ყოველ ამ უნციას მაშინ ამოაძვრენდა, როცა დაჭირდებოდა. ეს იყო უნივერსალური ტიპი. ურბანული რაინდი თავიდან ბოლომ-

დე არ იმეორებდა არცერთ გამოცდილებას, თუმცა ყველა მათგანი სჭირდებოდა. ეს გასაკვირი არაა. მასში ერთიანდებოდა ყველაფერი, რაც გამოდნა რამდენიმე სოციალური ტიპიდან. ურბანული ამ რაინდს ალბათ იმიტომ ჰქვია, რომ სოფლად მისი საჭიროება არ არის და არც მოთხოვნა ყოფილა ოდესმე და არცა იმგვარი კატაკლიზმები, რაიც ქალაქს შეეყარა. ხოლო რაინდი კი ის იმიტომ არის, რომ შეუძლებელია რაინდი არ იყოს, რადგან მოსწონს ასეთად ყოფნა და ვერც კი წარმოუდგენია, თუ რაინდი არ არის“ (მორჩილაძე, 2014, 209).

საყურადღებოა, რომ აკა მორჩილაძეც თბილისელს სოფელთან აპირისპირებს. მაგრამ თუ ტიონისის, გიდენისის და სხვათა სოციოლოგიას დავეყრდნობით, ეს უფრო ორი სოფელის დიქტომიაა, ან სოფელთა შორის უპირველესის პრეტენზია, ვიდრე ქალაქისა და სოფლის სხვაობა. იქნებ ავტორს ვაკელობა უშლიდა ხელს, რომ „ურბანულ რაინდში“ რურალური არქეტიპი დაენახა?

„ურბანული რაინდის“ ტიპზე საუბრობს თბილისელი პოეტი, კოტე ყუბანეიშვილიც, როდესაც თავისი თაობის 60-იანელ „ნაღდ თბილისელებზე“ ლაპარაკობს. ასეთი „ნაღდი თბილისელები“ სარგებლობდნენ გარკვეული პრივილეგიებით საზოგადოებაში და, როგორც წესი, წარმოადგენდნენ თბილისის ცენტრალური უბნების კოლორიტებს. მათთვის ინტელიგენციის ოჯახების კარიც ღია იყო და საბჭოთა ნომენკლატურისაც. მათ საქმოსნებისგანაც ჰქონდათ მინიჭებული „ჩრდილოვანად“ დაგროვებული მატერიალური კაპიტალით სარგებლობის უფლება. ეს ქალაქური ტიპები, როგორც ყუბანეიშვილი უწოდებს, იყვნენ „ატკაზიკები“, ადამიანები, რომლებიც არ მუშაობდნენ და არ იყვნენ პარტიულები. ყუბანეიშვილის ინტერვიუდან ჩანს, რომ ასეთი „ურბანული რაინდები“ წარმოადგენდნენ აღნიშნულ უბნებში დასახლებული, მართალია სეგრეგირებული, მაგრამ მაინც ერთიანი ელიტარული ფენის შვილებს. შესაძლოა, მათში შესულიყვნენ დაბალი ფენების წარმომადგენლებიც, ერთგვარი ადგილობრივი კონტრელიტა. გამაერთიანებელი, ამ შემთხვევაში, ისევ იყო ერთი უბნის სივრცე და ამ წრეში მოხვედრა, ძირითადად, უბანში მდგომარეობის, როგორც საბჭოთა თბილისში უწოდებდნენ, „პალაჟენის“ მოპოვებით იყო შესაძლებელი (ყუბანეიშვილი, 2015).

კომუნალური ბინები, „ხრუშჩოვკები“ და ვაკე

თბილისის მაცხოვრებელთათვის დამახასიათებელი ურთიერთობების ის ფორმა, რაზეც ზევით ვისაუბრეთ, შესაძლოა, განპირობებული საცხოვრისის ერთი თავისებურებით, რაც ქალაქის განაშენიანებას ახასიათებდა. ეს იყო კომუნალური ბინათსარგებლობა – მოფერებით „კომუნალკას“ უწოდებდნენ.

1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ხელისუფლებამ პროლეტარიატისთვის საბინაო პრობლემის გადასაწყვეტად სოლოლაკის კერძო სახლები იქ მცხოვრებ ბურჟუაზიას ჩამოართვა და თბილისის მუშური უბნებიდან ხალხი გადმოასახლა. „გაირკვა, რომ ადამიანს პირადი ცოტალა რჩებოდა. საერთო კარი, საერთო დერეფანი, საერთო ტუალეტი, საერთო სამზარეულოს სახლმმართველი, მთელი ამბავი. ეს ყოველი ნიშნავს, რომ ბავშვობიდანვე რალაც ისეთი ცხოვრების მონაწილე ხარ, რომელიც ეგებ სულ არ გაინტერესებს... ასეთ ეზოებს, სადაც ოდინდელი ერთი პატრონის სახლში ახლა სხვადასხვა ოჯახი

ცხოვრობდა, მოგვიანებით „იტალიანსკი დვორიკები“ დაერქვა, რასაც არც არქიტექტურასთან და არც სხვა რამ ასეთთან კავშირი არა აქვს, არამედ იტალიური ნეორეალიზმის ფილმებთან, სადაც ასევე ნაჩვენებია იყო სამეზობლოთა ერთობის ხმაურიანი სურათები. ეს ეზოები თბილისელთა ერთ-ერთი ყველაზე ფერადოვანი მოგონებაა, მულტიკულტურულობა, მულტისოციალურობა, ურთიერთგატანის ამბავი ამ გაჭირვებულ დროში და რა აღარ. ყველა ყველას ენაზე ლაპარაკობდა, ყველას ერთმანეთისა ესმოდა“ (მორჩილაძე, 2014, 105).

ასეთ ეზოებში ყველამ იცის, ვინ რას აკეთებს, ვინ რითი ცხოვრობს. მართალია, როგორც მწერალი აკა მორჩილაძე წერს, თბილისის კომუნალურმა ბინებმა მულტიკულტურალიზმის განვითარებას შეუწყო ხელი, რაც ასევეა დამახასიათებელი დასავლური ქალაქისთვის, მაგრამ ამავე დროს გაზარდა სოციალური კონტროლის ხარისხი. არა მხოლოდ ბინის სივრცითი განაწილების გამო, არამედ ხელისუფლების მიერ დანერგული პრინციპითაც, რომ მეზობლის დასმენის შემთხვევაში, დამსმენს მისი ოთახის შემოერთების საშუალება ეძლეოდა, სრულიად დაირღვა მოქალაქეების პირადი სივრცე. ეს მოვლენა კიდევ ერთი ფაქტორია, რის გამოც თბილისის მოქალაქეებს შორის ურთიერთობებმა საზოგადოებრივის მაგიერ ერთობისთვის დამახასიათებელი ნიშნები შეიძინა.

თუმცა 1950-იანი წლებიდან, საბჭოთა კავშირის ცეკას პირველ მდივნად ნიკიტა ხრუშჩოვის არჩევის შემდეგ, გატარდა ძალიან მნიშვნელოვანი საბინაო რეფორმა, რომელმაც საბჭოთა მოსახლეობას პირადი სივრცის მიღების შესაძლებლობა მისცა. „თბილისის ბინები გადაჭედული იყო. ხრუშჩოვმა შეცვალა ეს. ახლა ხარისხი როგორია, ესთეტიკა როგორია, როგორი შიდაგეგმარებაა, ჭერის სიმაღლე რა არის, ეგ ცალკე თემაა, მაგრამ მოხდა რევოლუციური რამ. საცხოვრისმა იცვალა თავისი ძირითადი დანიშნულება. ამ გადატვირთულ კომუნალურ ბინებში წყდებოდა ადამიანის ბიოლოგიური მოთხოვნილებები: არ გაყინულიყო. კომუნალური ბინა თავშესაფარი იყო პრაქტიკულად. ხრუშჩოვმა ბიოლოგიზმი დემოგრაფიულ სტრუქტურას დაუმორჩილა. გაჩნდა ფორმულა: ერთი ოჯახი – ცალკე ბინა. ეს იყო უდიდესი გარღვევა, რომელმაც ხელი შეუწყო თავისუფალი აზროვნების განვითარებას. კომუნალურ ბინაში ბევრს ვერ იტყოდი: კონტროლი იყო, დასმენები იყო“ (ვარდოსანიძე, 2015). „ხრუშჩოვები“ არა მხოლოდ თბილისის ძველ უბნებში კომპაქტურად დასახლებულმა მოსახლეობამ, არამედ სოფლიდან ჩამოსულმა მიგრანტებმაც დაიკავეს. 60-იანი წლებიდან საბჭოთა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა, რომ თბილისი მილიონიანი ქალაქი გამხდარიყო. გლენებს მისცეს ქალაქში სამუშაოდ გადასვლის, განათლების მიღების უფლება. ოფიციალური საბჭოთა სტატისტიკის მიხედვით 1959 წელს თბილისის მოსახლეობა 694,7 მოსახლეს შეადგენდა (სტურუა, ნათმელაძე, 1980, 477). 1972 წელს კი მისი მოსახლეობა მილიონამდე გაიზარდა. დაიგეგმა თბილისში ახალი, დასავლური ქალაქებისთვის უცხო მიკრორაიონების მშენებლობა და სწორედ ამ მიკრორაიონებში – საბურთალოზე, დილომში, გლდანში, თემქასა და ვარკეთილში – აშენდა ე.წ. „ხრუშჩოვები“ – ერთ – ან ოროთახიანი დაბალჭერიანი ბინები.

მაგრამ მიკრორაიონებამდე დაიწყო ვაკის განაშენიანება, რომელიც იყო პირველი საბჭოთა უბანი კეთილმოწყობილი პრივატული ბინებით. როგორც ზურაბ ბაქრაძე ამბობს, არც ვაკეში და არც ვერაზე „ხრუშჩოვები“ არ არსებობს. საქმე ისაა, რომ ვაკე ხრუშჩოვს მშენებარე დახვდა. 1960-იანი წლებისთვის, როდესაც თბილისში მიკრორაიონების მშენებლობა დაიწყო, ვაკეში უკვე იყო სტალინის დროინდელი არქიტექტურული პრინციპების

მიხედვით აშენებული სახლები, მაღალჭერიანი და ფართო ბინებით, რომელსაც ხრუშჩოვის დროს ზედმეტად პომპეზურად თვლიდნენ (ბაქრაძე, 2015). თუმცა ბინათმშენებლობა ვაკეშიც გაგრძელდა – ოღონდ არა „ხრუშჩოვების“ სახით. მიზეზი სოციალური იყო, ანუ – „კლასობრივი“: სოციალისტური თანასწორობის საფარქვეშ, ვაკელებსა და თემქელებს სრულიად განსხვავებული საცხოვრისი უნდა ჰქონოდათ.

სოციოლოგი ენტონი გიდენსი ერთმანეთისგან განასხვავებებს დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებს. აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებში, სადაც ქალაქური დაგეგმარება უფრო ძლიერად იყო განვითარებული, ქალაქის დიზაინი წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმის ნაწილს. იმ დროს, როცა დასავლეთ ევროპის ქალაქების ურბანული სახე კერძო **მესაკუთრეების** გავლენით ფორმირდებოდა.

ურბანისტ აივენ ჟელენზე დაყრდნობით, გიდენსი წერს, რომ აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირში მაღალი სტატუსის მქონე ადამიანები, მაგალითად სახელისუფლებო ჩინოვნიკები და მაღალი კლასის სპეციალისტები, ცხოვრობდნენ კვარტლებში, რომლებიც ეკუთვნოდა ხელისუფლებას. მათი სახლები ძლიერ გამოირჩეოდა მოსახლეობის უმეტესობის სახლებისგან. მიწის დიდი ნაწილი ცენტრალურ რაიონებში ეკუთვნოდა ხელისუფლების წარმომადგენლებს, ის ხშირად გაშენებული იყო ყველაზე თანამედროვე და კომფორტული სახლებით, იმ დროს, როცა ყველაზე უარესი რაიონები მდებარეობდა ქალაქის ბოლოსკენ. აღმოსავლეთ ევროპის ქალაქური რაიონები უფრო ერთგვარი იყო არქიტექტურისა და ბინათმშენებლობის თვალსაზრისით, ვიდრე დასავლეთ ევროპაში (Гидденс 1999).

მე-20 საუკუნის დასაწყისში ვაკე მოსახლეობის მცირე რაოდენობით დასახლებულ გარეუბანს წარმოადგენდა. 1918 წელს აქ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაიხსნა. საბჭოთა მმართველობის წლებში გაჩნდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ფიზკულტურის და პედაგოგიური ინსტიტუტები. 40-იან წლებში დაიწყო ვაკის პარკის მშენებლობა. ამ მიზეზით საბჭოთა არქიტექტორები ვაკეს უწოდებდნენ საგანმანათლებლო ცენტრს (Квириквелия 1982, 124). სავარაუდოდ, პირველად ვაკეში სწორედ სამეცნიერო ინტელიგენცია დასახლდა იმ პრინციპით, რომ საბჭოთა მოქალაქეებს ბინებს სამუშაო ადგილის მახლობლად უნაწილებდნენ.

ვაკე თავისი კარგი კლიმატით, განაშენიანებისთვის ხელსაყრელი პირობებით და იმ ფაქტორით, რომ ეს ერთადერთი ტერიტორია იყო, რომელიც არ წარმოადგენდა სამრეწველო ზონას, ქმნიდა ყველაზე ხელსაყრელ პირობებს, რათა შექმნილიყო ახალი უბანი ქალაქის ცენტრთან ახლოს. ვაკე აშენდა 1934 წლის გენერალური გეგმის და მისი მოდიფიცირებული ვარიანტის, 1955 წელს გამოცემული მეორე გენგეგმის მიხედვით. შეიქმნა კვარტლური განაშენიანება, რაც გულისხმობდა ოთხი ქუჩით შემოსაზღვრულ სივრცეს, რომელსაც შიგნით აქვს დიდი გამწვანებული ეზო. ეს იყო საკმაოდ ჯანმრთელი, სიმჭიდროვის თვალსაზრისით გაწონასწორებული განაშენიანება. ქუჩების კარგი ქსელი შეესაბამებოდა იმდროინდელ საავტომობილო მოძრაობას. შენდებოდა ე.წ. საუწყებო სახლები: იყო ბოტანიკური ბაღის სახლი, თეატრის და კინოს მოღვაწეების სახლი, დიდ მშენებლობებზე დასაქმებული ტექნიკური ინტელიგენციის კორპუსები, უშიშროების კორპუსი ვაკის პარკთან, ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს კორპუსები, უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის ბინები და ა.შ.

ლადო ვარდოსანიძე მიიჩნევს, რომ საბჭოთა პერიოდის ახალი კლასობრივი სეგრეგაცია საუკეთესოდ აისახა ვაკის განაშენიანებაში (ვარდოსანიძე, 2015). ისტორიკოსი პაატა ჩიქოვანი მიგვითითებს ჭავჭავაძის გამზირის ერთ-ერთ კვარტალში ერთმანეთის საპირისპიროდ მდგომ მრავალსართულიან ორ კორპუსზე, რომლიდანაც ერთი ეკუთვნოდა ცენტრალური კომიტეტის თანამშრომლებს, მეორე კი შემოქმედებით თუ ტექნიკურ ინტელიგენციას. ორივე კორპუსის ბინები სამოთახიანია, მაგრამ ინტელიგენციის საცხოვრებელი ბინა არის დაახლოებით 100 კვ. მეტრი, პარტიული მაღალჩინოსნების კი 200. ჭერის სიმაღლე თუ პირველ შემთხვევაში 3 მეტრია, მეორე შემთხვევაში 3.40 მეტრს უტოლდება. ჩიქოვანის ინფორმაციით, ბინების განაწილებისას არჩევანი თანამდებობების მიხედვით კეთდებოდა (ჩიქოვანი, 2015).

„ბრეჟნევის დროიდან საქართველოს ცეკას პირველი მდივნები უკვე ვაკეში ცხოვრობდნენ. ერთი (ედუარდ შვეარდნაძე, მ.მ.) მრგვალი ბალის წინ; მეორე (ჯუმბერ პატიაშვილი, მ.მ.) – ფალიაშვილზე. იმათი წინამორბედი, ვასილ პავლოვიჩი (მჟავანაძე, მ.მ.) ვერაზე იდგა ბინად, ძველ „ასაბნიაკში“, მაგრამ, ვერიდან ხო ვაკემდე ხელის გამოწვდენაა და მეტიც არაფერი“ (მორჩილაძე, 2014, 124.).

მართალია, როგორც ვხედავთ, ვაკის მოსახლეობაში შიდა სეგრეგაცია არსებობდა, მაგრამ ძირითადად ის მაინც პრივილეგირებული ფენის წარმომადგენლებით იყო დასახლებული. ხათუნა მაისაშვილის თქმით, ვაკე შექმნა საზოგადოების ოთხმა ფენამ: სამეცნიერო ინტელიგენციამ, ტექნიკურმა ინტელიგენციამ, პარტიულმა ნომენკლატურამ და საქმოსნებმა (მაისაშვილი, 2015). ვაკეში ბინებს იღებდა საბჭოთა გენერალიტეტიც. ლადო ვარდოსანიძე კი ამბობს, რომ ახალ კორპუსში შესახლების დროს ერთ ბინას რომელიმე მუშასაც აძლევდნენ, რათა ხაზი გაესვათ თანასწორობისთვის (ვარდოსანიძე, 2015).

თავის წიგნში „ჩრდილი გზაზე“ აკა მორჩილაძე საკმაოდ დიდ ნაწილს უთმობს ვაკის გეოგრაფიის აღწერას და საუბრობს მის მრავალფეროვნებაზე. ამავსე ამბობს ზურაბ ბაქრაძეც. მათივე ინფორმაციით, ვაკეში არსებობდა ძველი მოსახლეების ბინებიც. მაგალითად, აისორების, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისიდან ცხოვრობდნენ ვაკეში. ვაკე-საბურთალოს გზასთან არსებობდა სოფლის ტიპის დასახლებებიც და ა.შ. საზოგადოების პრივილეგირებული ფენა კი კონცენტრირებული იყო ვაკის კონკრეტულ ქუჩებზე: ჭავჭავაძეზე, ფალიაშვილზე და ბარნოვზე. 50-იანი წლების შემდგომ საქართველოს ელიტის ძირითად საცხოვრისად ეს ქუჩები იქცა.

ხომ არ ეწინააღმდეგებოდა ეს მობილობა და ერთგვარი ნაირფერობა ვაკის ჩაკეტილობას, რომელსაც ხათუნა მაისაშვილი აღნიშნავს? (მაისაშვილი, 2015) ზურაბ ბაქრაძე თვლის, რომ ინტელიგენცია და ნომენკლატურა ერთ კლასს არ წარმოადგენდა და მათ შორის ყოველთვის არსებობდა შინაგანი მტრობა. მიუხედავად იმისა, რომ ინტელიგენცია სარგებლობდა ნომენკლატურის მიერ მინიჭებული პრივილეგიებით, ამავსე დროს დასცინოდა კიდევ მას. ინტელიგენციამ მოიპოვა არაფორმალური ძალაუფლების ელემენტები. თანდათანობით და შესაძლებლობათა ფარგლებში, იგი კარნახობდა მოსახლეობას პოლიტიკურ შეხედულებებსაც კი (ბაქრაძე, 2015).

თუმცა იმ თვისებებით, რითაც ვაკის მოცემული ფენებია იდენტიფიცირებული და ურთიერთდაკავშირებული, რთულია, არ ვიმსჯელოთ ნომენკლატურულ-ინტელიგენტურ ერთიანობაზე. ფრანგი სოციოლოგის პიერ ბურდიეს ჰიპოთეზის მიხედვით, კლასებად სეგ-

რეგაციას იწვევს კულტურული და ეკონომიკური კაპიტალის გადანაწილება და ეს სეგრეგაცია არის საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული განსხვავებულ ცხოვრების წესში, გემოვნებასა და ღირებულებებში. ბურდიეს ჰიპოთეზა მიესადაგება ვაკის სოციალურ აღწერას: ვაკეში მაცხოვრებლების აბსოლუტურ უმეტესობას აერთიანებდა ჰაბიტუსი,² რომლის კონსტრუირება ხდებოდა როგორც მატერიალური, ისე კულტურული კაპიტალით. აქ განსხვავებას, შესაძლოა, მხოლოდ ძალაუფლების მასშტაბი იძლეოდა, თუმცა ამ მხრივაც არ იქმნება ცალსახა სურათი. ცხადია, რომ ვაკის ინტელიგენციას კაპიტალითა ეს ნაკრები უფრო პარტიულ ნომენკლატურასთან აკავშირებდა, ვიდრე იმათთან, ვინც, „ხრუშჩოვკებში“ შეყუყული, მატერიალურადაც შეჭირვებული იყო და რაიმე სხვა გავლენითაც არ სარგებლობდა.

ჰაბიტუსის ცნება, რომელიც ასოცირდება ცხოვრების სტილთან ანუ გემოვნებასთან, მიდრეკილებებთან, უნარებთან, საშუალებას გვაძლევს, ავხსნათ ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფის მაკლასიფიცირებელი პრაქტიკები, გადაწყვეტილებები, შედეგები. ცხოვრებისეული პრაქტიკები და მათი შედეგები ჰაბიტუსში განმასხვავებელი ნიშნების სისტემად კრისტალიზირდება.

ჰაბიტუსი პასუხისმგებელია იმაზე, რომ აგენტის (ან აგენტების ჯგუფის) პრაქტიკების ერთობლიობას აქვს სისტემური ხასიათი, იგი წარმოადგენს იდენტური სქემების გამოყენების შედეგს და, ამავე დროს, სისტემურად განსხვავდება სხვა ჯგუფების პრაქტიკებისგან, სხვათა ცხოვრების სტილისაგან, რომელიც არსებობის განსხვავებულ პირობებთან ასოცირდება (Bourdieu, 1979).

ვფიქრობ, ბურდიეს ეს განმარტება ვაკის ნომენკლატურას და ინტელიგენციას აერთიანებს. რესპოდენტებთან ჩატარებული ინტერვიუები და ვაკის ცხოვრებაზე არსებული წერილობითი წყაროები მიუთითებს დომინანტ ჰაბიტუსზე, ცხოვრების სტილზე, რომელიც გვიანსაბჭოთა ეპოქის თბილისის ცენტრალური უბნის მაცხოვრებელთა საგრძნობ ნაწილს ერთიანი კლასის ნიშნებს ანიჭებდა.

რესპოდენტები გამოყოფენ ვაკის პრივილეგირებულთა ისეთ ნიშნებს, როგორც სნობიზმი და კონსუმერიზმი. საშუალოსტატისტიკურ ვაკელს, მიუხედავად იმისა, პარტიული ბოსის, პრივილეგირებული ინტელიგენცია თუ საქმოსნის ოჯახიდან იქნებოდა იგი, გამოარჩევდა ნაღებ საზოგადოებასთან ასოცირების განცდას.

ზოგიერთი დაკვირვებით, ვაკელებს გარეგნული მსგავსება ახასიათებდათ: „ვაკელი არის ადამიანი, რომელიც თავს უფლის. კარგი ტანი აქვს. როგორც წესი, ჯანმრთელობას უთმობს დიდ ყურადღებას. აი, ამითიც ჰგავდნენ ისინი ერთმანეთს“ (მაისაშვილი, 2015). ვაკელებს ახასიათებდათ მეტი გახსნილობა, ვიდრე დანარჩენებს. მაგრამ, როგორც ტრადიციულ წოდებებს სჩვევია, მათ არ ხიბლავდათ დამოყვრება სხვა ფენების წარმომადგენლებთან. შეინიშნებოდა ერთგვარი გარეგნულობაც: ანა მანაგაძის გადმოცემით, მიღებული იყო ოპერაში სიარული, მაგრამ სინამდვილეში ოპერას ცოტა ვინმე თუ უსმენდა. ის, ვინც წერდა ლექსებს, არანაკლებ იყო დაინტერესებული ბიზნესით, ვიდრე პოეზიით (მანაგაძე, 2015). ნიშანდობლივია აკა მორჩილაძის პასაჟი: „ეს ვაკე გამოდგა თანდათან უფრო განსხ-

2 „ჰაბიტუსი შეიძლება განიმარტოს, როგორც „შეძენილი სქემების სისტემა, რომელიც პრაქტიკაში მოქმედებს, როგორც აღქმის და შეფასების კატეგორია, ან როგორც კლასებად დაყოფის პრინციპი და ამავე დროს, როგორც მოქმედების ორგანიზებადი პრინციპი“ (პიერ ბურდიე. „განსხვავება. განსჯის სოციალური კრიტიკა“).

ვაკებულები დანარჩენ ნაწილთაგან ქვეყნისა და მიზანმიმართულად თითქოს, კანონმდებელი აღზრდის, გემოვნების, შეხედულების ნიმუშებისა, თუმცა კი იმის ნაკვეთი ნიღბები მაინც ვერ გამოვიდა იმგვარი, ნამდვილ სწავლას, ნამდვილ მართვას, ნამდვილ გემოვნებას რომ გაუტოლდებოდა იშვიათი გამონაკლისის გარდა“ (მორჩილაძე, 2014, 123). აღნიშნული დაკვირვებები მოგვაგონებს პიერ ბურდიეს მიერ აღწერილ პარიზის ბურჟუაზიას – ფორმალურ, ხელოვნურად შექმნილ თვისებებზე, საზოგადოების შეფასებაზე, ხარისხსა და სიძვირზე ორიენტირებული გემოვნებითა და ცხოვრების წესით (Bourdieu 1979).

მთავარი, რაც თბილისის ცენტრის რამდენიმე ქუჩაზე კონცენტრირებულ კულტურულ, პოლიტიკურ და ბიზნეს ელიტას (საბჭოთა საქმოსნები) აერთიანებდა, სოციალური კაპიტალი იყო. იგი წარმოადგენდა რეალური ან პოტენციური რესურსების ერთობლიობას, რომელიც დამოკიდებულია სტაბილურ ქსელში ასე თუ ისე ინსტიტუციონალიზებულ ურთიერთობაზე. „ნაცნობობა და აღიარება ჯგუფის წევრებს აძლევს მხარდაჭერას კოლექტიური კაპიტალის სახით, რეპუტაციით. ამ გზით, ჯგუფის წევრებს ეძლევათ კრედიტები ამ სიტყვის ყველა მნიშვნელობით. ეს ურთიერთობები შეიძლება, არსებობდეს მხოლოდ პრაქტიკულ მდომარეობაში, მატერიალური ან სიმბოლური გაცვლის ფორმით“ (Bourdieu 1986).

ვაკის პრივილეგირებული ფენის სოციალური კაპიტალი ქმნიდა წრეს, რომელიც შესაძლოა გავიგოთ, როგორც ბურდიეს მიერ განსაზღვრული სოციალური „მილიო“- გარე, ბუნებრივი, გეოგრაფიული, სოციოკულტურული, ეკონომიკური სასიცოცხლო ურთიერთობების სპეციფიკური ერთობლიობა, რომელიც გამოირჩევა სოციალიზაციის სცენარებით, პრაქტიკული გამოცდილებითა და შთაბეჭდილებებით. იგი ახდენს გავლენას წრეში მყოფთა აზრთა წყობაზე, ფასეულობებზე, გადაწყვეტილებებსა და ქცევებზე (Bourdieu 1986).

წრეში შემავალი ოჯახები ერთად სარგებლობდნენ ხელისუფლების მიერ მინიჭებული დასასვენებელი სახლების საგზურებით. შვილები დადიოდნენ ერთ ბაღში, მერე სკოლაში და ასე ბავშვობიდან თანმდებოდნენ ქვეყნის საერთო წესებზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მშობლების თაობისგან განსხვავებით, მათი შვილები შედარებით გასწილობას იჩენდნენ ურთიერთობებში, რადგან თავისი უბნის ფარგლებში, არა მხოლოდ საკუთარი კლასის, არამედ ნაკლებ პრივილეგირებული ფენების შვილებთანაც მეგობრობდნენ. უბნის შიგნით არსებული ეს ურთიერთობები ქმნიდა გარკვეულ სოლიდარობას წრის წევრებს შორის. ოღონდ ეს სოლიდარობა იშვიათად თუ სცდებოდა უბნის საზღვრებს და, შესაბამისად, ვაკის „მილიოს“ „ანტისოფლურ“ ჰაბიტუსში პარადოქსულად განივთებული რურალური ერთობის ფენომენს აძლიერებდა.

სკოლა წარმოადგენდა ვაკის „მილიოს“ და მისი „ჰაბიტუსის“ ფორმირებისა და დემონსტრაციის ნიშანდობლივ ადგილს. ირკვევა, რომ ფალიაშვილის ქუჩაზე არსებული სამი სკოლიდან, რომელშიც ბავშვები ტერიტორიული პრინციპით უნდა განაწილებულიყვნენ, ერთ-ერთი, კერძოდ 55-ე საშუალო სკოლა, ყველაზე პრივილეგირებულად ითვლებოდა. როგორც ისტორიკოსი პაატა ჩიქოვანი იხსენებს, ამ სკოლაში მოხვედრაც სოციალური კაპიტალის გამოყენებით ხდებოდა, რაც ხშირად კორუფციის სახეს იღებდა (ჩიქოვანი, 2015).

საბჭოთა სოციუმში ფაქტობრივი კლასობრიობა გამოიხატებოდა იმაშიც, რომ სკოლის შიგნითაც არსებობდა კარგი და ცუდი კლასები. „სიკარგის“ განმაპირობებელი იყო მასწავლებელი, რაც საბჭოთა პერიოდში სრულებითაც არ ნიშნავდა მის მაღალ კვალიფიკაციას. იგულისხმობოდა, რომ პრივილეგირებული კლასის მასწავლებელი ბავშვებს მეტ ყურადღებას მიაქცევდა, სასკოლო ღონისძიების შემთხვევაში მიანიჭებდა საუკეთესო

როლს და, საერთოდაც, ყველაფერს გააკეთებდა იმისთვის, რომ ბავშვს სკოლიდანვე ეგრძნო საკუთარი უპირატესობა. ასეთი მასწავლებელი პასუხისმგებელი იყო სკოლის დირექტორის წინაშე, რომელსაც არ უნდა შეეძნოდა პრობლემა პრივილეგირებული მოსწავლეების მშობლებთან.

ელიტარულ და ჩვეულებრივ სკოლებსა და კლასებს შორის განსხვავებას იხსენებს და ადასტურებს ქალაქგეგმარების უკვე ნახსენები სპეციალისტი, ზურაბ ბაქრაძე. იგი ვაკეში, შედარებით ნაკლებპრესტიჟულ 57-ე სკოლაში სწავლობდა. მას მერე, რაც სკოლაში, ექსპერიმენტის სახით, მეორე კლასიდან ყველა საგნის ინგლისურად სწავლა გადაწყდა, 57-ე სკოლაში 55-ე სკოლიდანაც გადმოვიდნენ. გადმოსულთათვის ცალკე კლასები გაიხსნა, და ტრადიციისამებრ, ისინი ახალ გარემოშიც პრესტიჟულად ჩაითვალა (ბაქრაძე, 2015).

დასკვნა

ერთი მხრივ, ვაკის სოციალური გეოგრაფია ნათლად აჩვენებს, რამდენად შორს იყო საბჭოთა საქართველო ეგალიტარული, უკლასო საზოგადოების დეკლარირებული პრინციპებისაგან. ამავე დროს, დასავლელი ურბანისტ-სოციოლოგების თეორიებისა და თბილისის მაცხოვრებელთა ინტერვიუების ანალიზი გვაძლევს კომპლექსურ სურათს იმის შესახებ, რომ 50-80-იანი წლების საბჭოთა თბილისის მოსახლეობა წარმოადგენდა რურალური ერთობების კონგლომერატს. ამის ნიშნებია: ეჭვი ახალმოსახლეთა მიმართ; მაღალი სოციალური კონტროლი; კონკრეტული წრის შიგნით ნდობა-პატივისცემის პრიმატი კონტრაქტსა და კონკურენციაზე.

შეიძლება დაგვასკვნათ, რომ თბილისს ქონდა ჰიბრიდული და მარგინალური საზოგადოების ნიშნები. ჰიბრიდულში იგულისხმება, რომ თბილისის სოციუმში აირეკლებოდა ურბანული თვისებებიც: ქალაქი იყო მეტად ჰეტეროგენული და გახსნილი, ვიდრე ქართული სოფელი. რაც შეეხება მარგინალურობას, ამ განსაზღვრებაში ვეყრდნობი ურბანისტი ლადო ვარდოსანიძის მოსაზრებას: მისი აზრით, მარგინალური საზოგადოება წარმოადგენს პირად ინტერესზე კონცენტრირებულ სოციალურ ორგანიზმს, რომელიც ნაკლებად წუხს საზოგადოებრივ სფეროებსა და საერთო პრობლემებზე. ცალკე კვლევის საგანია, თუ რამდენად წაახალისა ასეთი „მარგინალიზმი“ გარედან თავსმოხვეულმა კომუნისტურმა იდეოლოგიამ და პოლიტიკურმა სისტემამ.

წარმოდგენილი დასკვნები, ძირითადად, ქალაქის ცენტრის უახლესი სოციალურ-კულტურული წარსულის გახსენებას დაეყრდნო. შეიძლება ითქვას, რომ ამ ცენტრის ერთგვარი ჩაკეტილობა, რაც მისი სოციალურ-სივრცითი სტრუქტურისა და ამ სტრუქტურით წარმოებული პრაქტიკიდან მომდინარეობდა, დღემდე რეზონირებს.

თანამედროვე დასავლური ქალაქებისაგან განსხვავებით, ცენტრი, განსაკუთრებით კი, ვაკის უბანი, 50-80-იანი წლებში ელიტის მიერ იქნა კოლონიზირებული. მან შექმნა ფორმულა – „თბილისი იყო ურთიერთობა“, რომლის მიღმა ჩანს სოციოლოგთათვის ცნობილი, სპეციფიკური ჰაბიტუსი და „მილიო“ ანუ წრე. თბილისელთა პრივილეგირებულ ფენას, რომელიც ქალაქელობას თითქმის ექსკლუზიურად იჩემებდა, არა მხოლოდ თანამდებობები, არამედ ყოფითი კულტურა, სტილი მიჯნავდა არაპრივილეგირებულთაგან.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეტად ეგალიტარული იყო თბილისის, კერძოდ კი მისი ცენტრალური, პრივილეგირებული ნაწილის ქუჩა. იგი ქმნიდა ერთგვარი თანასწორობის სივრცეს, სადაც ელიტური ოჯახების შვილები სხვებთან სოციალიზდებოდნენ. მაგრამ, მეორე მხრივ, იგივე ქუჩა წარმოადგენდა კვლავ სოფლური ერთობისთვის დამახასიათებელი ურთიერთობების ადგილს, რომელსაც ასევე ახასიათებდა მაღალი სოციალური კონტროლი და უცხო საგან დისტანცირება.

მთლიანობაში, გვიანსაბჭოთა თბილისი წააგავდა არა დასავლურ „გადასადნობ ქვაბს“, რომელიც ინდივიდუალიზმითა და კონტრაქტული ურთიერთობებით ათავისუფლებს, არამედ რურალური ერთობებით გამორჩეულ და ერთმანეთისადმი ზურგმეცხეულ უბანთა კონგლომერატს. მის ცენტრში იდგა კომფორტული ბინებით და პრესტიჟული საგანმანათლებლო დაწესებულებებით დამშვენებული ვაკე, რომელიც რომელიმე ძლიერი და ტრადიციული სოფელივით იცავდა თავისთავადობას. საბჭოთა ქართული მოდერნიზაციის მიღმა, გამოძახილს გარდასულ ეპოქათა პარტიკულარისტული კოლექტივიზმი იძლეოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bourdieu Pierre. 1984. *Distinction: A Social Critique of the Judgment of taste*. Harvard University press. Cambridge. Massachusetts.
2. Гидденс Энтони. Социология. 1-ое издание. Глава 17. Современный урбанизм. Города в восточной Европе. Отличия от Запада. 411 http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Sociolog/gidd/
3. Квирквелия Темур. *Архитектура Тбилиси*. Тбилиси. 1982
4. მორჩილაძე აკა. 2014. *ჩრდილი გზაზე*. თბილისი
5. Park Robert Ezra. 1967. *The city as a social laboratory*. In: Robert E. Park on Social Congrol and collective behavior. Selected papers. Phoenix Books. The University of Chicago. Chicago. pp. 3-18.
6. Simmel Georg. 1969. *The metropolis and mental life*. Classic essays on the culture of cities. Brandeis University. New Jersey. pp. 47-60.
7. სტურუა ნიკოლოზ, ნათმელაძე მაყვალა. 1980. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. VIII ტომი. თბილისი.
8. Tonnies Ferdinand. *Community and Civil Society*. Cambridge Texts in the history of political thought. 2001. Cambridge University press. Cambridge.
9. Wirth Luis. *Urbanism as a way of life*. 1938. *The American journal of Sociology*. No1. The University of Chicago Press. http://www.jstor.org/stable/2768119?seq=1#page_scan_tab_contents

რესპოდენტები

1. ბაქრაძე ზურაბ. ინტერვიუ ჩამოართვა ავტორმა. თბილისი. 04.05.2015.
2. ელისაშვილი ალექსანდრე. ინტერვიუ ჩამოართვა ავტორმა. თბილისი. 09.04.2015
3. ვარდოსანიძე ლადო. ინტერვიუ ჩამოართვა ავტორმა. თბილისი. 23.04.2015
4. მასაშვილი ხათუნა. ინტერვიუ ჩამოართვა ავტორმა. თბილისი. 29.04. 2015
5. მანაგაძე ანა. ინტერვიუ ჩამოართვა ავტორმა. თბილისი.10.04.2015.
6. ყუბანიშვილი კოტე. ინტერვიუ ჩამოართვა ავტორმა. თბილისი. 23.04.2015
7. ჩიქოვანი პაატა. ინტერვიუ ჩამოართვა ავტორმა. თბილისი. 01.05.2015.
8. ჯგერენაია ემზარ. ინტერვიუ ჩამოართვა ავტორმა. თბილისი. 29.03. 2015